

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება
N 530 2010 წლის 21 ივლისი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და
ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის“ შექმნის შესახებ

საქართველოში კონსტიტუციონალიზმის კვლევის ხელშეწყობისა და განვითარების, მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის კონსტიტუციო-ნალიზმის იდეისა და შესაბამისი გამოცდილების გაზიარების მიზნით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1 შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი“ (შემდეგში - ცენტრი).

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ:

ა) განახორციელოს ცენტრის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი;

ბ) უზრუნველყოს ცენტრის დებულების დამტკიცება და ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნა.

3. საქართველოს მთავრობამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინების საფუძველზე უზრუნველყოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცენტრის საქმიანობისათვის აუცილებელი ასიგნებების გათვალისწინება.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ უზრუნველყონ ცენტრისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი ქონების გადაცემა.

5. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მიხეილ სააკაშვილი